

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის
ოქმი №20

2020 წლის 28 დეკემბერი, 12:00 საათი

ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე: საკრებულოს თავმჯდომარე-კარლო ჯამბურია.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

მუნიციპალიტეტის მერი-ჯონდო მდივნიშვილი;

მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი-გიორგი მანგოშვილი;

მერიის სოციალური სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი-ნატო ბატიაშვილი;

მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი-ნინო ბატიაშვილი.

ა(ა)იპ-ების დირექტორები:ნ. კობერიძე, ნ. ნოზაძე, ვ. ცერცვაძე, ნ.თამაზაშვილი.

-1-

მოისმინეს:

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: გ. მანგოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 19, წინააღმდეგი - 0),

გადაწყვიტეს:

შეტანილი იქნეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №25 დადგენილებაში(www.matsne.gov.ge 27/12/2019, 190020020.35.167.016457).

/დაგენილება №23, თან ერთვის/

-2-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: გ. მანგოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 19, წინააღმდეგი - 1, გიორგი ენუქიძე),

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი და ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

/დადგენილება №21, თან ერთვის/

-3-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2021 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: ნ. ბატიაშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 19, წინააღმდეგი - 0),

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დადვის 2021 წლის პროგრამა და მისი ბიუჯეტი, დანართი №1-ის და დანართი №2-ის შესაბამისად. /დადგენილება №35 თან ერთვის/

-4-

მოისმინეს:

საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის (ფიზიკური პირების) დასუფთავების მოსაკრებლისაგან განთავისუფლების შესახებ.

/მომხს: ნ. ბატიაშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 19, წინააღმდეგი - 0), გადაწყვიტეს:

საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა (ფიზიკური პირები) სრულად განთავისუფლდეს 2020 წლის ნოემბრის, დეკემბრის, იანვრის და თებერვლის დასუფთავების მოსაკრებლისგან.

/დაგენილება №36 თან ერთვის/

-5-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საცხოვრებელი სახლების, სამურნეო და დამხმარე ნაგებობის მშენებლობისათვის მშენებლობის ნებართვის ვალდებულების ნაცვლად, მშენებლობის დეტალური შეტყობინების დადგენის თაობაზე.

/მომხს: ნ. ბატიაშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 19, წინააღმდეგი - 0), გადაწყვიტეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, საცხოვრებელი სახლების, სამურნეო და დამხმარე ნაგებობის მშენებლობისათვის მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად, დადგინდეს მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

/დაგენილება №37 თან ერთვის/

-6-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს: ო.მირზოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 19, წინააღმდეგი - 0), გადაწყვიტეს:

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - გარე-განათების 50 ვატ. 400 (ოთხასი) ცალი სანათი-ლამპიონი და 600 (ექვსასი) მეტრი აპკ კაბელი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრს“.

/განკარგულება №41-ი თან ერთვის/

მოხსენეს:

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 სექტემბრის №50-ი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

/მომხს: ო. მირზოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 19, წინააღმდეგი - 0), გადაწყვეტეს:

გამოცხადდეს ძალადაკარგულად „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 სექტემბრის №50-ი განკარგულება და გადაცემული ქონება დაუბრუნდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიას.

/განკარგულება №42-ი თან ერთვის/

მოხსენეს:

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთ წლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 თებერვლის №24 განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ

/მომხს: გ. მანგოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 19, წინააღმდეგი - 0), გადაწყვეტეს:

შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 თებერვლის №24 განკარგულების დანართში „მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა 2017-2022 წლებისათვის“, კერძოდ გეგმის მე-6 ნაწილი „სამოქმედო გეგმა და განხორციელების ვადები“ და ჩამოყალიბდეს ახალი დანართის შესაბამისად.

/განკარგულება №43-ი თან ერთვის/

მოხსენეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: გ. მანგოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 18, წინააღმდეგი - 1, გაორგი უნქიძე),

გადაწყვეტეს:

დამტკიცდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების პრიორიტეტები დანართის შესაბამისად.

/განკარგულება №44-ი თან ერთვის/

საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია